

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის
საგრანტო კონკურსის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საფაკულტეტო სამეცნიერო გრანტის (შემდგომში „გრანტი“) მიზანია, ფაკულტეტის ფარგლებში საგრანტო კონკურსით (შემდგომში „კონკურსი“) შერჩეული პროექტის (შემდგომში – პროექტი) უსასყიდლოდ დაფინანსების გზით ხელი შეუწყოს ბაკალავრიატის სტუდენტების ჩართვას სამეცნიერო-კვლევებში.

2. ეს დებულება აწესრიგებს კონკურსის გამართვის, გრანტის გაცემისა და პროექტის შესრულების მონიტორინგის წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

გამოყენებულ ტერმინებს ამ დებულების მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **საფაკულტეტო საგრანტო კომისია** – ფაკულტეტის ორგანიზაციული ერთეული, რომლის ფუნქციასა საგრანტო კონკურსის ჩატარება და დასაფინანსებელი პროექტების გამოვლენა წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე;

ბ) **პროექტის კონსულტანტი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი) ან მასწავლებელი, რომელიც კოორდინაციას უწევს პროექტის შედგენას, პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და პასუხისმგებელია გრანტის მიზნობრივ ხარჯვასა და პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე;

გ) **პერსონალი** - გრანტის მიმღები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტები, რომლებიც ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ამოცანებს.

დ) **საკონკურსო დოკუმენტაცია** – ამ დებულებით განსაზღვრული დოკუმენტების ერთობლიობა, რომელთა წარდგენა აუცილებელია კონკურსში მონაწილეობის მისაღებად;

ე) პროექტის ბიუჯეტი - პროექტის განხორციელებისათვის საჭირო საგრანტო დაფინანსების საერთო ოდენობა ხარჯვის კატეგორიების მიხედვით;

მუხლი 3. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირებას ახორციელებს ფაკულტეტის ადმინისტრაცია.
2. ფაკულტეტი უზრუნველყოფს:
 - ა) კონკურსის გამოცხადებას დადგენილი წესით;
 - ბ) კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას, აგრეთვე საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების ანგარიშების ფორმების დამტკიცებას;
 - გ) საფაკულტეტო საგრანტო კომისიის (შემდგომში კომისია) შემადგენლობის დამტკიცებას;
 - დ) კომისიის მიერ პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი კრიტერიუმების დამტკიცებას და პროცედურების ადმინისტრირებას;
 - ვ) გამარჯვებული პროექტების დაფინანსების უზრუნველყოფას და მათი განხორციელების მონიტორინგს დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 4. კომისიის შემადგენლობა და უფლებამოსილება

- ა) კომისია შედგება შემდეგი პირებისაგან: დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროგრამების კოორდინატორი, ერთი წარმომადგენელი თითოეული დეპარტამენტიდან.
- ბ) კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს.
- გ) კომისია ახორციელებს საკონკურსო პროექტების მიღებას, მათ განხილვას, კონკურსანტებთან გასაუბრებას, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე პროექტების შეფასებასა და დასაფინანსებელი პროექტების გამოვლენას;
- დ) საჭიროების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია კონსენსუსის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება დასაფინანსებელ პროექტში ცვლილების შეტანის შესახებ კონკურსში გამარჯვებულ პირთან/პირებთან ხელშეკრულების გაფორმებამდე.

მუხლი 5. კონკურსის სუბიექტები და შეზღუდვები

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:
ფაკულტეტის პედაგოგებსა და ბაკალავრიატის სტუდენტებს;
2. ერთსა და იმავე პირს ერთსა და იმავე დროს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ 1-ზე მეტ პროექტში.

მუხლი 6. პროექტის ხანგრძლივობა და ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 6 (ექვს) თვეს.

2. ფაკულტეტიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 6000 ლარს.

5. პერსონალის თითოეული წევრის წილი საგრანტო დაფინანსებაში არ უნდა აღემატებოდეს 1200 ლარს.

მუხლი 7. პროექტის ბიუჯეტი

პროექტის ბიუჯეტი შესაძლოა ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

- ა) პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- ბ) საქონელი და მომსახურება;

მუხლი 7. კონკურსის ეტაპები

კონკურსის ძირითადი ეტაპებია:

- ა) კონკურსის გამოცხადება;
- ბ) პროექტების კომისიაში წარდგენა;
- გ) პროექტების შეფასება კომისიის მიერ;
- დ) გამარჯვებულების გამოვლენა და დამტკიცება;
- ე) დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტებში მონაწილე პერსონალთან საგრანტო ხელშეკრულებათა გაფორმება.

მუხლი 8. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

1. კომისიაში საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა (დანართი 2) უნდა მოხდეს ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესისა და ვადების დაცვით. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ საკონკურსო დოკუმენტაცია კომისიაში აღარ მიიღება.

2. კომისია უფლებამოსილია კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

მუხლი 9. პროექტის შეფასება

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტი (დანართი 2,3) შეფასებას გაივლის წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

2. კომისიის წევრები პროექტს აფასებენ პროექტის შეფასების კრიტერიუმების (დანართი 4) მიხედვით. ფაკულტეტს შეფასების შედეგი წარედგინება დადგენილი ფორმის შესაბამისად.

3. პროექტების შეფასება ითვალისწინებს კომისიის წინაშე პრეზენტაციით

წარდგომას. კომისიის მიერ განსაზღვრული ზღვრული შეფასება არ უნდა იყოს 50 ქულაზე ნაკლები. კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს პროექტების კორექტირება (ბიუჯეტის ჩათვლით).

4. კომისია გამოავლენს წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის გამარჯვებულ პროექტებს. ამასთან, კომისია უფლებამოსილია გამოყოს სათადარიგო პროექტები, რომლებიც ჩაენაცვლება გამარჯვებულ პროექტებს იმ შემთხვევაში, თუ ამ დადგენილების მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო ამ გამარჯვებულებთან ხელშეკრულება არ გაფორმდება.

6. კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ, პროექტის პერსონალის მოთხოვნის შემთხვევაში, კომისია უზრუნველყოფს მათი პროექტის შესახებ საბჭოს მიერ გაკეთებული დასკვნების გაცნობას.

მუხლი 10. ინტერესთა კონფლიქტი

1. არ შეიძლება გამარჯვებული პროექტის გამოვლენის პროცესში მონაწილეობდეს კომისიის ის წევრი:

ა) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია პერსონალთან ან მონაწილეობდა მასთან ერთად და იმავე სამეცნიერო-კვლევით პროექტში;

ბ) რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე პროექტში; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის ნათესავია; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;

4. კომისიის წევრი ვალდებულია ფაკულტეტის დეკანს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

მუხლი 11. საგრანტო ხელშეკრულება

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების კომისიის მიერ დამტკიცების შემდეგ ფაკულტეტი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას პროექტებში მონაწილე პერსონალთან (დანართი 5).

2. კომისია უფლებამოსილია გრანტის მიმღების მიერ საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე, არა უგვიანეს 5 დღით ადრე, წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში განახორციელოს ცვლილება საერთო ბიუჯეტის 5%-ის ფარგლებში.

მუხლი 12. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. კომისია პირველი სამი თვის და პროექტის დასრულების შემდეგ ატარებს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

2. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფაკულტეტის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

3. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი ამოცანების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას.

4. კომისიის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ ანგარიშზე დაბრუნებას;

5. ანგარიშების წარმოდგენლობის ან მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ფინანსური დარღვევების და პროგრამული ამოცანების შეუსრულებლობა იწვევს პროექტის შეჩერება ან/და შეწყვეტას.

6. საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში პროექტის ფარგლებში შეძენილი ქონება გადაეცემა ფაკულტეტს საკუთრებაში.

7. პროექტის კოორდინატორი ვალდებულია პროექტის დასრულების შემდეგ პრეზენტაციით წარსდგეს კომისიის ან ფაკულტეტის საბჭოს/სათათბიროს წინაშე, ხოლო პროექტის მონაწილე სტუდენტები მოხსენებით გამოვიდნენ სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო ტექნიკურ კონფერენციაზე.

სავალდებულო დოკუმენტაცია პროექტის წარსადგენად

- პროექტი (წარმოდგენილი გაფორმების წესის შესაბამისად-დანართი 3);
- პროექტის ბიუჯეტი – სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა ლარებში (იხ. დანართი 4);
- პროექტში მონაწილეების საშტატო განრიგი;
- საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე (ნაბეჭდი – სათაურები 14-ანი, ხოლო ტექსტი 12-ანი შრიფტით, ორ ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიით;
- საკონკურსო პროცედურის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ავტორთა მიერ პროექტის პრეზენტაცია კომისიის წევრთა წინაშე.

პროექტის გაფორმების წესი

(სატიტულო ფურცელი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

პროექტის დასახელება

პროექტის კონსულტანტი (სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა);

თბილისი - 2017

1. კვლევის სიახლე, მიზანი და ამოცანები*

1.1 პრობლემის აქტუალობა და კვლევის სიახლე

(პრობლემის მოკლე მიმოხილვა; კვლევის მეცნიერული სიახლის აღწერა; პროექტის საბოლოო მიზანი)

1.2 კვლევის ობიექტი და ამოცანები

(აღწერეთ: კვლევის ობიექტი; კვლევის სტრატეგია; შესასრულებელი ამოცანები და სხვ.)

ამოცანების ჩამონათვალი თვეების მითითებით

№	ამოცანის დასახელება	ამოცანის შესრულების სავარაუდო დრო თვეების მიხედვით	მოსალოდნელი შედეგი
1		(მაგ., მე-2-4 თვე)	
2			
3			

2 კვლევის მეთოდოლოგია და მოსალოდნელი შედეგები

2.1 კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა პროექტის ამოცანებთან

(აღწერეთ: პროექტში დაგეგმილი ამოცანების გადასაჭრელად საჭირო მეთოდები და საშუალებები/გზები, მათი დასაბუთება;)

2.2 კვლევის მოსალოდნელი შედეგები

(აღწერეთ: პროექტის დასრულების შედეგად მოსალოდნელი ახალი ან უფრო სრულყოფილი ცოდნის მნიშვნელობა, აგრეთვე, კვლევის შედეგების გამოყენების პერსპექტივები)

3. პროექტის მართვა

მოკლედ აღწერეთ და დაასაბუთეთ პროექტში ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვის სქემა; აღწერეთ ბიუჯეტის მიხედვით შემოთავაზებული საქონლის და მომსახურების საჭიროება და ფასების რეალურობა.

***-პროექტის მოცულობა 4-6 გვერდი.**

დანართი 3

პროექტის ხარჯთაღრიცხვის მოკლე ფორმა საკონკურსო განხილვისათვის

№	ხარჯვითი მუხლების დასახელება	2017- 2018 წელი
	საერთო ხარჯები	
1	შრომის ანაზღაურება	
2	საქონელი და მომსახურება	

შრომის ანაზღაურება ბიუჯეტის არაუმეტეს 80%-სა

**პროექტის ბიუჯეტი
(გამარჯვებული პროექტებისათვის)**

№	მუხლები	პროექტის ბიუჯეტი სულ		
	სულ ასიგნება	6000		
	ხარჯები			
	მათ შორის:			
I	საქონელი და მომსახურება			
	საქონელი			
	მომსახურება			
II	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	დაბადები ს რიცხვი/თ ვე/წელი	პირადი ნომერი	სულ თანხა
	პროექტის კონსულტანტი			
	ძირითადი შემსრულებელი			
	ძირითადი შემსრულებელი			
	ძირითადი შემსრულებელი			

- შრომის ანაზღაურება ბიუჯეტის არაუმეტეს 80%-სა

საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმები

№	კრიტერიუმის დასახელება	სუსტი	საშუალო	კარგი	შეფასება
1.					
1	რამდენად მკაფიოდ არის აღწერილი პრობლემის აქტუალურობა და კვლევის სიახლე	1-6	7-14	14-20	
2	რამდენად მკაფიოდ არის აღწერილი კვლევის ობიექტი და შესასრულებელი ამოცანები	1-6	7-14	14-20	
3	რამდენად შეესაბამება კვლევის მეთოდიკები პროექტის ამოცანებს	1-6	7-14	14-20	
4	კვლევის შედეგების გამოყენების რეალურობა	1-6	7-14	14-20	
5	რამდენად ოპტიმალურად არის პროექტში დაგეგმილი დროის, ადამიანური და ტექნიკური რესურსების გამოყენება	1-6	7-14	14-20	
	სულ			100	